№ 100 3 ენკენისთვე, ოთხშაბათი 1866—1875 3 ენკენისთვე, ოთხშაბათი № 100

რედაქცია

მოლრინის (აბას-აბატის) მაედანზე, ულრლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. Ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

Დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მფაერულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

იუბილეი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა

ამ ენკენისთვის 25-ს თფილისში იქნება ოც-და-ხუთი წლის იუბილეი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა.

ოც-და-ხუთი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც კავკასიის მთავარმმართველმა თ. ვორონცოვმა დააარსა ეს საზოგადოება ადგილობრივი მეურნეობის წარმატებისა და გაუმჯობესობისათვის; — და საზოგადოება ახლა ამ თავის დაარსების დღეს დღესასწაულობს.

ორცმაშინ, თ. ვორონცოვის დროს, და არც იმის შემდგომ მთავრობა ლონის-ძიებას არ ზოგავდა, რომ საზოგადოებას თავის დანიშნულება შეესრულებინა და მართლა ნამდვილი სარგებლობა მოეტანა კავკასიის მეურნეობისათვის, იმ მეურნეობისათვის, რომელსაც დახმარება, ხელის-მოწყობა და ახალს გზაზე დაყენება ისე ეჭირებოდა.

ახლა, ოც-და-ხუთი წლის შემდეგ, ჩვენი მეურნეობა თითქმის იმავე მდგომარეობაშია, როგორც საზოგადოების დაარსების დროს იყო. არაფერი არ შეჰმატებია ჩვენს მეურნეობას, წარმატების გზაზე არ დამდგარი, არაფერი ახალი წარმოება არ შემოსულა, არცერთი ძველი წარმოების საქმე წინ არ წაწეულა, არ გაუმჯობესებულა. ერთმა-ორმა მემამულემ და ჩვენში გადმოსახლებულმა უცხო - ქვეყნელებმა რომ შეიძინეს,—ეს ხომ კავკასიის მეურნეობის წარმატებისათვის არ იყო, ამას ხომ ჩვენი ქვეყნისათვის არაფერი სარგებლობა არ მოუტანია!

ეს გარემოება მით უფრო ღირსია ყურადღებისა, რომ ქვეყანაზე ძნელად მოიპოვება მეორე ისეთი მხარე, რომელიც ისეთს ფართო ასპარეზს წარმოადგენდეს სხვა და სხვა წარმოებისათვის და მეურნეობის გაუმჯობესებისთვის, როგორც საქართველოა და საზოგადოთ კავკასია. ამ ერთ მუჭა ქვეყანაში ყოველ გვარ ჰავას იპოვით, ყოველ გვარ მიწას. ისეთი სამეურნეო პირუტყვი და მცენარე, მგონია, დედა-მიწაზე არ მოინახება, რომელიც ან ერთს და ან მეორე კავკასიის მხარეში არ მოშენდეს და არ გასძლოს. თამბაქო, ჩაი, ლიმონი, ფორთოხალი, პური, ღვინო, ყველაფერი რაც გნებავთ, მოიყვანეთ, ოღონდ ცოდნა იყოს, ოღონდ ხელის განძრევა არ გვეზარებოდეს.

ამისთანა ქვეყანა, ამისთანა სამეურნეო ასპარეზი ჰქონდა ხელში ოც-და-ხუთი წლის განმავლობაში, ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას, და იმის მოქმედება კი თითქმის არსად არა სჩანს.

დარწმუნებული ვართ, საზოგადოების სეკრეტარი უფ. სიტოვსკი ერცელ ანგარიშს წაიკითხავს ამ იუბილეიზე საზოგადოების ოც-და-ხუთი წლის ცხოვრებაზე და მჭევრ-მეტყველურ სიტყვას იტყვის საზოგადოების მოქმედებასა და მეცადინეობაზე, რომ კავკასიის მეურნეობა აეწია.

და უცხო ქვეყნიდამ მოსული მსმენელნი დაიჯერებენ ყველაფერს, რასაც ეტყვიან. მაგრამ ურჩევთ: ერთი სოფლად გაეიდნენ, ნახონ ჩვენი გლეხის მეურნეობის წესი, ნახონ, თუ ნებავსთ, უფ. სიტოვსკისაგან ქებული მეურნეობა, და მაშინ დარწმუნდებიან — თუ რა ნაყოფიერად გაატარა ამ საზოგადოებამ თავის ოც-და-ხუთის წლის ცხოვრება და როგორ მოიხმარა იმან ის საშუალება, რომელსაც მთავრობა ამ საქმისთვის არასოდეს არ ზოგავდა.

მოხერხებული დროა ახლა, ეს იუბილეი, რომ ყველა ამაებზე კარგათ მოიფიქროს საზოგადოებამ. და თუ გაისჯება და მოიფიქრებს, მოილაპარაკებს ერთად ამ წასულ ცხოვრებაზე, იმედი გვაქვს, რომ მომავალში ის თავის მოქმედების გზას შესცელის. . .

ს. მესხი

მხატვარი პრემაცცი ჩვენში

ამ ჟამად მოგზაურობს ჩვენში პეტერბურლის აკადემიის პროფესსორი ლუიჯი პრემაცცი და ჰხატავს სურათებს ადგილებისას, შენობისა, სახესა, ტანთსაცმელს და რაც კი ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ ტიპის თვისებას შეადგენს. ეს პროფესსორი აკვარელისტია (ესე იგი უზეთო ფერადი წამლითა ჰხატავს). მარიამობის თვეში ის მოგზაურობდა ვლადიკავკაზის გზაზე, ესე იგი არაგვის და თერგის ხეობაზე, და ბევრი მშვენიერი ადგილები გადმოიღო ქაღალდზე. ამათში შესანიშნავი მხატვრობაა არაგვის ხეობის თავი ბევრდ-ბნელთან ადგილი, სადაც სოფელი ღუდაა. დილაა და მზე ის-ის არის ხეობას დასდგომია; მთებზე დილის ნამს იღებს, არაგვი ჯერ ჩრდილშია.

მეორე სურათი სტეფან-წმინდას (უაზბეგს) და ლარსს შუა ქვითკირის ძველი ხიდი რომ ჩაქცეულა და მარცხნივ ნამგრევია, ის ადგილია. მარჯვენა მთა და ნამგრევი მეტის-მეტის სინამდვილით არის გამოყვანილი. ამას გარდა მყინვარის (უაზბეგის) მთის რამდენიმე სურათია, ვლადიკავკაზის სამხრეთის მთებისა და სხვანი.

ყველა ეს სურათები ძვირფასნი არიან სიმშვენიერით და სინამდვილით. არა ფოტოგრაფიას არ შეუძლიან ასე ცხოველათ, ასე ნამდვილათ და მშვენიერათ გამოგიხატოს ეს მშვენიერი ადგილები.

უფ. პრემაცცი ამ ენკენისთვის ნახევრამდი ქართლში და იმერეთში აპირებს წასვლას. სასურველია, რომ ამ პატივცემულ მოხუცებულ მხატვარს ყველგან გაუადვილონ ლონისძიება გადახატვისათვის, თუ სანახავ ადგილებისა, საყდრებისა, ციხე-კოშკების, სახლებისა და სახეებასა.

როგორც ვთქვით, იმის ინტერესი ნამდვილ ადგილობრივ ჩვენებურ საგნებზე არის მიქცეული. ჩვენისთანა მშვენიერს სამხატვრო ქვეყანაში, საკუთარი მხატვარი რომ არა გვყავს, ამ მოხუცებულ იტალიელის მოთმინებულს ჯაფას და შრომას მომეტებული პატივი უნდა ესცეთ.

პ. უ.

დღიური

□ უ. თანამდებობის აღმასრულებელი კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს უფროსისა ამ თვის 3-ს დაბრუნდება ქოჯრიდამ ქალაქში და ამ თვის 6-დამ აქ მიიღებს მთხოვნელებს და სხვას ყველას, ვისაც იმასთან რაიმე საქმე ექნება—კვირაში ორჯერ: სამშაბათობით და შაბათობით.

□ გასული თვე ტუსაღების გაქცევის თვე იყო; წინანდელ ნომერში ვაცნობეთ მკითხველს, რომ იმ თვის 22-ს ოზურგეთის საპყრობილიდამ ექვსი ავაზაკი გაიქცა (ნამდვილად ერთი გაქცეულა, რადგან ამათში ხუთი ისევ დაუჭერიათ და მძიმეთ დაუჭრიათ ყარაულებს). ახლა ბორიდამ გვწერენ, რომ აქაური სატუსაღოდამ ოთხი მძიმე დანაშაული ავაზაკი გაიქცაო. ესენი უფრო ბედნიერნი ყოფილან: ყარაულებს ვერცერთი ველარ დაუჭერიათ.

□ ზაქათალიდამ გვწერენ, რომ გასული თვის 15-სა და 16-ს იქ ისეთი ნიაღვარი მოსულა, რომ ამ ქალაქის ქვითკირის კედელი ერთ ალაგას გაუგლეჯია და ქალაქში შესულ წყალს რამდენიმე ბალი წაულეკავს. თუმცა ნიაღვარი სახლების ქვემოეტაჟაში შეეარდნილა, მაგრამ დალუპვით კი არავინ დაულუპავს.

□ აქაურ სომხურ გაზეთს „მშაკში“ ახალქალაქიდამ იწერებიან, რომ განზრახვა არისო, რომ ამ ქალაქიდამ ბორჯომამდი გზა უნდა გაიყვანონო.

აქვე სწერენ, რომ ამ თვის პირველ რიცხვიდამ ახალქალაქსა და თფილისს შუა ტელეგრაფი გაიხსნაო.

□ „კავკაზს“ სწერენ ბაქოდამ, რომ იქაურ ახლად დაარსებულ თათრულ გაზეთს „აკინჩის“ ამ ჟამად 530 ხელის-მომწერი ჰყავსო და რედაქციას იმედი აქვს, რომ კიდევ მოემატებაო. თათრები დიდის ინტერესით ჰკითხულობენ ამ გაზეთსაო.

□ წასულ ნომერში ერთი შეცდომა მოგვიეიდა, როცა მირზოევის ფაბრიკის დაკეტაზე ელაპარაკობდით: მოხსენებული იყო, რომ ეითომც ეს ფაბრიკა ი. მირზოევს ეკუთვნის, მაშინ როდესაც ფაბრიკის პატრონი „ბაბრიელ მინაიჩ“ მირზოევია.

„დროების“ კორრესპონდენცია

სოფ. ქახი, აგვისტოს 30-ს

წრეულ მაისის პირველ თვეებში ქახის სოფლის ინგილოები, როგორც ჩვეულებაა მთელს ზაქათალის მაზრაში, ჩალთუქის (ბრინჯის) დასათესად გაეიდნენ. იმ დროს, როცა ამისათვის ხვნას დაიწყებენ, მაშინ უეჭველად წყალია საჭირო. წყლის ნაკლულევანება ქახის ინგილოებს არა ჰქონდათ; მაგრამ ერთმა აქაურმა ბეგმა ძლიერ დიდი დაბრკოლება მისცა ხალხს ჩალთუქის დათესაში.

ჩალთუქი უნდოდათ დაეთესათ უარემეშაში, საცა ქახის ინგილოებსა აქვთ ბინები. ხალხი წაეიდა საქონლით დასათესად, მაგრამ როცა მიუგდო მინდორში წყალი, ბეგმა მთელს სოფელს დაუწყო დავა, რომ ალიზამანის ყირღაჩის წყალი ჩემი არისო. ეს წყალი ჩამოდის ამ ბეგის მიწისა ალათემურისა და ინგილოების სახემწიფო მიწის უარემეშას მიჯნაზე. ამ წყლით მუდამ ქახის ინგილოებს უსარგებლიათ, მაგრამ წრეულს ბეგმა დავა დაუწყო და შეაყენა ბრინჯზე მუშაობა.

ხალხმა დაუწყო ჩივილი, მაგრამ ეს დავა შესდგა, ასე რომ ალარ სარგებლობენ ამ! წყლით არც ხალხი და არც ბეგი, ვიდრე საქმე გათავდებოდეს. ხალხს

მოსწყდა წელი და აღარ იცოდა რა ექნა.

ჩალთუკის დათესვა ძალიან გვიანდებოდა. მაშინ ქახელებმა დაანებეს თავი მოხნულ მიწებს და წავიდნენ აქა-იქ სხვა სოფლებისათვის წყლის სათხოვნელად. მაგრამ ვისაც სთხოვეს, ყველამ უთხრა, რომ ვიდრე ჩვენ არ მოვრჩებით დათესვას, ვერავის მივცემთ წყალსაო. ქახელები უფრო შეწუხდნენ და საერთოდ ჩალთუკის დათესვას თავი დაანებეს და ყველა შეუდგა თავთავის მიწის დაბარვას. ზოგმა დაბარა სხვათა წყლებზე, მაგრამ ძალიან ცოტა, რადგან წყალი ვერ იშოვეს. ბევრმა ღარიბმა და უსახელო კაცებმა კი თუნდ ერთი მუჭა ჩალთუკი ვერ დათესა და ეჭვი არ არის, რომ ამისაგამო წლეულს კ.ხელები ბრინჯის დიდს ნაკლულევანებას იგრძნობენ ამ ბეგის მოწყალებით.

მაგრამ ბევმა მარტო ამ ბრინჯის ზარალი არ მისცა ქახელემს. ეს კაცი მეტის-მეტად აწუხებს ყველა ქახის მცხოვრებლებს. წლეულს ყანების მკის დროს ისრეთი ზარალი მისცა იმათ, რომ კაცი არ დაიჯერებს. აი როგორ მოჰხდა ეს საქმე:

ამ ბეგს უარემეშას მ.ხლობლიე ძალად დაუჭერია სახემწიფო მიწა — ალათემური, რომელიც ეკუთვნოდა საინგილოში სულთანად მყოფს დანიელ-ბეგს. მაგრამ 1836 წელს ქახის სოფლის ინგილოებს, რომელთაც მეტი მიწა ჰქონდათ, ამ სულთანმა ჩამოართვა და, ვინც სოფელში კომლად გაყრილი უმიწო კაცები იყვნენ, იმათ მამულებად დაუყო. ავ ახლად დასახლებულს ქახის სოფლის ნაწილებს ჰქვიან ერთს „თოპალი,“ მეორეს „ქახ-ბაში.“

სოფლის ასრე გადიდების შემდეგ ქახის ინგილოებს სახნავ-სათესი მიწები დაკლდათ და სულთანს სთხოვეს, რომ სადმე მიწა მიეცა სახნავათ. მაშინ იმან წაიყვანა ხალხი ალათემურის მიწაში და მისცა ეს მიწა. აი ამის თაობაზე მიცემული ქაღალდი:

„ესე გუჯარი მე დანიელ სულთანმა მოგეცით თქვენ მომავალ დროს მოსაგონებლად იმ მტკიცედ დადებული პირობასა, რომ ვინც ალათემურში ტყეს გაკაფავს და გამოხდის ახოს, განთავისუფლებულია ყველა ღალისაგან, ხოლო ვინც შოსთხოვს ღალას, ის წყეულიმც იყოს. ღალის აუღებლობის მიზეზი ის არის, რომ რომელთაც ეს ტყეები გადაკაფეს და ახოები გამოხადეს, იმათ უნაყოფო მიწა ალათემურისა თითქმის გააცოცხლეს. განთავისუფლებულნი არიან აგრეთვე ისინიც, ვინც აქ ტყეს გადაკაფავს და ვენახსა და ბალჩას მოაშენებს. იმედი მაქვს, რომ ამ ჩემ ბრძანებას და სიტყვას ვერავინ ვერ შეჰცვლის. ამ ქაღალდს მე ვაბარებ ბული ზურაბაშვილსა და ბული ტარტარაშვილს და ამასთანავე ამ ორ პირსაც ვამთავისუფლებ ყოველი ღალისაგან. 1251 წელს, 10 ივნისს“ (ეგრის ჩვენებურს 1836 წელსა).

მაგრამ 1844 წელს დანიელ სულთანმა ულალატა ხელმწიფეს და გაიქცა დაღესტანში. ამის შემდეგ დიდი ხანი გავიდა და მერმე ეს ალათემურის მიწა-წყალი დაიჭირა დარჩენილმა იმისმა ძმისწულმა ხალილბეგმა. მაგრამ ჰქონდა ამის ნება? სრულიადაც არა. როგორც ხელმწიფის მოღალატის მიწები, ის იმას კი არ ეკუთვნის, არამედ ნამდვილად ხაზინის კუთვნილებას შეადგენს; ამისათვის რომ ამ გვარი მოღალატის მიწები კანონის ძალით ხაზინაში გადადის. მაგრამ ამ კაცმა დაიჭირა ძალათ და ძლიერ აწუხებს ხალხს.

წლეულს, როცა ხალხმა მკა დაიწყო, ამან ხალხს ძნები არ გამოაზიდინა სახლში, იმისათვის რომ მინდა დაეთვალო, რამდენი ძნა არისო; მაგრამ დააგვიანა თავის განზრახვის აღსრულება და ამასობაში მოვიდა ძლიერი წვიმები და ძნები სრულიად დაალპო. რაც დაკლდა, ისიც შესრულდა მაშინ, როცა ძნებს იღებდნენ და სთვლიდნენ: დალუპული ძნიდგან თურმე მარცვალი ისრე დასცვივდა, რომ სრულიად განახევრდა.

ამის მძლეობა ამით კიდევ არ თავდება. ადგილობრივი ჩვეულებისამებრ 50 ძნაში იმას თვითონ ათი უნდა აეღო, მაგრამ ის ასრე არ მოიქცა: იმან ჯერ გაალეწინა ხალხს, მერმე სამს კოდში ერთი კოდი მიერწყო და წაიღო.

ასრეთს ცეცხლში არიან ქახის ინგილოები ხალილ-ბეგისაგან, რომელიც, თავის ნებით, ყოველ წლივ სცვლის ღალის პირობებს.

ინგილო ჯანაშვილი

ნაგოგრის იარმუკა გურიაში

საღამოს იარმუკაზე სანახაობა სხვაფერდება: უფრო გაჭირვებული და მოსაქმე სოფლის ხალხი ცოტა რჩება; მაგიერად ამ დროს მოდის აქ ზურიის ინტელლიგენცია — ოზურგეთის საპატიო საზოგადოება. ეხლა კი რკინის ბორკილიც რომ მოაბათ, ვერ გარეკთ აქედგან გამოპრანჭულ სოფლის ქალებს, რომელნიც ქცევაშიაც და ტანთსაცმელებშიაც ძალიან გულს-მოდგინეთ ჰბაძავენ ოზურგეთის განათლებულ ქალებს. ოგურგელი ქალების ტანთსაცმელი და ქცევა იმდენათ მისაბაძავათ აქვთ უმეცარ, მაგრამ ზნეობით წაუმხდარ ქალებს, რამოდენათაც პარიჟის არისტოკრატკების ტანთ-ცმა და ქცევა მისაბაძავათ აქვთ ევროპის არისტოკრატკებს!

ვინც ზურიის ხალხს ცოტათი მაინც იცნობს, იმას არ გაუკვირდება აქაური ქალების ამ გვარი ქცევა. ბევრი ხალხი არ უნდა მოიძებნებოდეს ქვეყანაზე იმდენათ ბუნებით ცოცხალი, მოძრავი, ყველაფერი ახალის და უცხო რასმესი ადვილათ მიმღები და შემთვისებელი, როგორიც გურულებია. ყველაფერს ახალს და უცხოს, როგორც კარგს, ისე ავსაც, გურული ძალიან მალე ითვისებს. ჩვენებური სოფლის ქალი ხედავს, რომ „ოზურგეთის „განათლებული და სწავლული“ ქალები ძალიან ფრანტი, ბდიდრულათ და მოდაზე შეკერილი კაბებით ირთვებიან; მაშასადამე ტანთსაცმელშიც განათლება ყოფილაო და ვინც სწავლული და განათლებულია, უთუოდ ფრანტათაც უნდა ეცოსო! ამის მოსმასაზრე ჩვენებური ქალები მოსდგნენ და იკერეენ, რათაც უნდა დაუჯდესთ, ძვირფასს კაბებს.

— რატომ ეკკლესიაში ვერ გხედავ კვირაობით — შეთქი? ვკითხავდი ამას წინათ ერთ ჩემ ნაცნობ სოფლის დედაკაცს.

— რა ექნა, ბატონო, ამ გამეტიჩრებულ დროში ეკკლესიაშიც ვერ გამოვსულვარ ამ ნაკაბევითო, და დაიხედა სუფთა, ახალ ჩითის კაბაზე.

— კაბას ვითომ რა უშავს?

— პატიოსან და კეთილ ხალხში არაფელი, მარა ჩვენი სოფელი რომ წახდა და გამეტიჩრდა, ყველა თვალში მაფურთხებს, ამ კაბით რომ ეკკლესიაზე გავიდე! შერცხვეს შენი ქალობა, თუ ერთი შალის კაბა არ აივალე და მით არ გამოდი სუდარზეო. რის იმედით უნდა ავივალოთ ჩვენისთანა გლეხის ქალებმა, ბატონო? მართალია, შეძლებულ გლეხად ვითვლები და მჭადი სამყოფად მომდის, მარა წლის სამყოფს მჭადს რომ კაბის ფასი მოვაკლო და ბალღები შიმშილით დაეწყვიტო, ღმერთს რალა ეუთხრა? მერმე ეხლანდელი დროის კაბა ხომ კაბას არ გავს: ეხლანდელ ერთ კაბაში ორი კაი სრული კაბა გამოვიდოდა ამ ათი-თორმეტი წლის წინათ. წახდა, ბატონო, დრო, ქვეყანა გაირყვნა; ყველაფერში თვალთ-მაქცობა და მეტ-ჩრობა შემოვიდა. სხომის რომ დარაიას (შინ მომზადებული აბრეშუმის მატერია) მოექსოვდით და პერანგათ შეეიკერავდით, ხუთი წელიწადი მეცვა და კიდევ მოწონება ჰქონდა; ახლა რომ ნათლი-მამას დარაიას საპერანგე გავუგზავნე, საყვედური შემომითვალა, რეიზა გამაგლეხეო, ახლანდელ დროში ტილო და მიტკალი გლეხსაც კი აცვიაო და მე ხომ აზნაურშვილი მაინც ვარო! უშალის კაბოთ ქალი გარეთ ვერ ვამომიყვანია; ჩვენებურს ყოლიფერს ფასი და მოწონება აკლდება, უცხოს და გარეშეს დღითი-დღე ემატება.... ხომ მოგეხსენება, ჩვენში მდიდარი და გაკეთებული მოსახლე იგია, თუ ერთი ულელი ხარი და ერთი მეწველე ძროხა ოჯახში ეგულება და რომ ამის პატრონმა ქალი შალის კაბებით არონიოს, ხომ ხარებიც უნდა დაწინდროს (დაგირავოს) და ძროხაც.

„ახლა, ბატონო, რაცხა „სვდლო“, რაცხა ჩაი გამეიგონეს და ამაში იყიდებიან ჭურინ-შამულიანათ. სასარგებლოა, კაი სწავლა და განათლებაო, გვექადაგებენ და სულ ამ სწავლულებისგან და განათლებულებისგან შამოვიდა ჩვენში აი თვალთ-მაქცობა — სულ ოზურგეთის ბრალია ეს ჩვენი გაფუჭება!“

— „ჩვენი უბედურებაც ეგაა, ეფიქრობდი გულში, როცა ჩემმა ქალიანმა მოსაუბრემ დაამთავრა ლაპარაკი, რომ ჩვენ განათლების მაგალითად, ჩვენი უმეცრებით, ოზურგეთი და ოზურგლები მიგვაჩნია.“

ამისთანა გონიერული შეხედულება აქაური „ახალ დროზე“ მხოლოდ რამდენიმე გონიერ დედა-კაცებს აქვთ, დანარჩენი დიდი უმეტესობა აგრე როდი იკვლევს საქმეს: თუ განათლებულები აგრე იქცევიან, ალბათ კარგი ყოფილაო, ისინი ჰფიქრობენ, და მისდევენ მათ მაგალითს. თუ ეს ჩემი ნაწერი ვინმე გურულს ჩაუვარდა ხელში, მტრად ჩამთელის, ძალიან გაფუჭკიანდება:

— ქალავ, აი რავა მოგვეჯაყა ამ ოხერმა ვილაც ყოფილაო! იტყვის. მაგრამ ნუ აჩქარდება: „მოსაჯაყავად“ არა ესწერ მე ამ შენიშვნაში არაფერს. მე მინდა, ჩემო ცხარო გურულო, ყველამ ნამდვილად იცოდეს ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა და ვისაც რით შეუძლია, დაგვეხმაროს, შეაგონოს ჩვენ უმეცარ ხალხს, თუ რა არის ნამდვილი განათლება.

ადამიანის სული, ჩემო გურულო მკითხველო, მეტად ღრმა რამ ჭურჭელია და ამ სიღრმეში ბევრი კარგი და ავი რამ ჩაეტევა. ბუნებას სიცარიელე არაფერში არ უყვარს. ყველაფერზე ღრმა და ჩამტევ ჭურჭლათ ღმერთს კაცის სული გაუჩენია, რომ ბევრი კარგი და სასარგებლო რამ ჩაეტიოს ამ წმინდა ჭურჭელშიო. ამ ჭურჭლის ავსება კი ჩვენზე არაა დამოკიდებული; უფრო ხშირად ჩვენდა დამოუკიდებელ გარემოებებზე ჰკიდია მისი გავსება და ჩვენ დროში ეს გარემოებები თითქმის ყოველთვის ისე წამხდარი და დამპალია, რომ ყველაფერი უწმინდურებით ამსებს ამ სალმთო ჭურჭელს და რაკი ერთხელ აიმსება ხოლმე სიდამპლით, მერმე, რომ კიდეც შევატყოთ მე და შენ და მოვინდომოთ მისი გასუფთავება, ძალიან გაგვიჭირდება. ამისათვის ყველა, შეძლებისა და გვარად, უნდა ვცდილობდეთ, რომ არ გავაუპატიუროთ ეს ჭურჭელი — ბუნებით წმიდა და უმანკო ადამიანის სული.

ყველაფერი ცოტ-ცოტაობით იწყება, ჩემო გონიერო გურულო: ჯერ ტანთსაცმლით და პრანჭაობით წახდებიან და გამეტიჩრდებიან ჩვენი ცოლები და ქალები; მერმე ამას სხვა ცუდი მხარეც მოყვება და ამ გვარად გაირყვნება მთელი ზურია. — ჩაიცვან ჩვენმა ცოლებმა და ქალებმა იაფი ფასის, უბრალოთ, და უკუდოთ შეკერილი, სუფთა კაბები, წითელი დარაიას პერანგები, დაიბანონ პირი ამ ღვთისაგან მოცემული ანკარა წყლით, ნუ იშაევებენ უიმისოთაც ლამაზ წარბებს საღებავით, შეჯდნენ როგორც წინათ მჯდარან, უბრალო უნაგირზე, — და გარწმუნებ უკეთესი ცხოვრებაც გვექნება და უფრო ლამაზებიც გამოვჩნდებით. შენი წვრილშვილი ყველა პერანგიანები გეყოლება, შენც და შენ ცოლსაც ორისამი საცვალი გექნებათ, კალანდას და კვირა დღეობით რგელათ შემ-

წვარი ქ თამი სუფრაზე გედება და, სხვა ქვეყნის ხალხიდგანაც მეტი პატივი და ნდობა გექნება.

ეხლა კი ერთმა განათლებულმა ევროპიელმა რომ ჩვენ ცოლებს კვირა დღეს იარმუკაზე შეხედოს, მერმე აქაური შემძლებელების ოჯახი დაიაროს და ნახოს ამ გამოწყობილი ქალის წვრილ-მცილები დედის-შობილათ ტიტვლები ცეცხლთან ეყარნონ, მათი დედ-მამას პერანგები ჭვარტლით გალიფული კუთხეში ეკიდოს, ვახშმისათვის კვირა დღეს, აღების დღეებში, ლობიანი ქოთანი ცეცხლზე იდგას,—ის ჩვენ უთუოდ ევლურ ხალხებში ჩაგვთვლის.

უნდა იცოდეთ, რომ ნამდვილათ განათლებული და პატიოსანი ქალები ახლანდელ დროში, დიდი სიმდიდრის პატრონიც რომ იყვნენ, ტანთსაცმელში ბევრს არ დახარჯავენ.— ნამდვილათ განათლებულ ქვეყნებში ეხლა ხშირად სდგებიან იმისთანა ქალების საზოგადოებანი, რომელნიც ცდილობენ რაც შეიძლება უბრალო, იაფი ფასის ტანთსაცმელი ჩაიცვან და დანარჩენი, ძვირფას კაბებზე დასახარჯი, ფული შეაგროვონ და რამე კეთილ საქმეში დახარჯონ, ვთქვათ ღარიბ ავათმყოფებს შეეწიონ, ღარიბი ყმაწვილები გაზარდონ, ღარიბებისთვის ბანკები გახსნან და სხვა. უთუოთ ჩვენი ქართველი ქალებიც ამათ მიბაძვენ ამ კეთილ მაგალითში და მალე ჩვენს ქალაქებშიაც შეადგენენ ამ გვარ საზოგადოებას.

ამ ბოლო დროს სამზღვარს გარეთ იმისთანა კაცების საზოგადოებაც შემდგარა თურმე, რომელნიც პირობას სდებენ: ის ქალი არ შეერთოთ, ვინც უბრალოთ, იაფი ფასის ტანთსაცმლით არ იმოსებაო. ქართველი საკოლო კაცებიც რომ გვიქმნენ სიკეთეს და შეადგენდნენ ამისთანა კაცების საზოგადოებას, პირველ წვერათ უთუოთ მე ჩავიწერები, და პირობასაც მივსცემ, რომ ყოველ წლობით რამდენიმე ასი თუმანი მაინც მოაგროვონ ჩვენებურმა გასათხოვარმა ქალებმა. . .

ქალების ერთგული

რუსეთი

✱ გათავებულა სხდომა იმ მასწავლებლებისა, რომელნიც მთელი პეტერბურლის გუბერნიიდამ იყვნენ შეკრებილნი სხვა და სხვა სამასწავლებლო საგნებზე მოსალაპარაკებელად. ზოგიერთ მასწავლებლებს გამოუცხადებიათ, სხვათა შორის, ამ კრებაში, რომ ერთობ ბევრი შაგირდები ჰყავთ და ვერ აუდიან. ერთმა მასწავლებელმა—ქალმა სთქვა, რომ ჩემ ხელ-ქვეშ 90 ყმაწვილი არისო. კრებას გადაუწყვეტია, რომ 40--60 ყმაწვილზე მეტი ერთს სასოფლო ელემენტალურ შკოლაში არ უნდა იყოსო. ამას გარდა კრებას ბევრი ულაპარაკნია—შკოლებთან პატარა ბიბლიოთეკების გახსნაზე, სახალხო ლექციების კითხვაზე კვირა დღეობით და აგრეთვე ყოველი შკოლისათვის თითო რომელიმე გაზეთის დაბარებაზე. ერთს მასწავლებელს ჩამოუგდია ბოლოს იმაზე სჯა, რომ რადგან ჩვენ მუდამ ხალხში ვცხოვრობთ, ამის გამო ურიგო არ იქნებაო, რომ ამ სოფლებისა და ხალხის მდგომარეობა, ცხოვრება და ყველაფერი, რაც ყურადღების ღირსად მოგვეჩვენება, ავსწეროთო. კრებას დიდის თანაგრძნობით მიუღია ეს წინადადება და ბევრი მასწავლებელი დაპირებია, რომ ამ შრომას ეიკისრებთო.

✱ თურქისტანის ღენერალ-ღუბერნატორს, ფონ-კაუფმანს ჯარის დახმარება უთხოვნია იმ არეულობის მოსასპობელად, რომელიც ოკანშია ამ ჟამად. ღენერალ-ღუბერნატორი მოახსენებს მთავრობას, რომ ამ ჯარით ოკანის სახანო უნდა დაეიპყროთ.

✱ მარიუპოლის საერო ექიმებმა ერობას სთხოვეს, რომ რადგან ჩვენს უეზდში ძალიან ბევრი მატყუარა და უმეცარი ექიმები და მკითხავები არიანთ და ესენი ენებენ ხალხის ჯანმთელობასო; ამის გამო გვიშუამდგომლეთო, რომ როცა ცუდ ექიმობაში დაეიჭერთ ამ სოფლის ექიმებს, სასამართლოში ჩვეილის უფლები მოგვეცესო. ერობას მიუღია მხედველობაში ეს თხოვნა.

✱ ნოვგოროდის, პსკოვის და პეტერბურლის გუბერნიის ზოგიერთს უეზდებში პირუტყვის ჭირი გაჩენილა. ადგილობრივ მთავრობას შესაფერი ღონის-ძიება მიუღია, რომ ჭირი სხვა გუბერნიებში არ გავრცელდეს.

✱ პეტერბურლის გაზეთებში იწერებიან ნოვოჩერქასკიდამ, რომ აქ ერთი ფრანცუზის პოლკოვნიკი მოვიდაო, რომელიც ჩვენებური (დონის) ცხენების სასყიდლათ არის გამოგზავნილიო და ამის გამო ჩვენში ახლა ცხენის ფასმა მოიმატაო. ფრანცუზის ჯარისათვის ჰყიდულობს ეს პოლკოვნიკი ცხენებსაო.

უცხო ქვეყნები

ბერლინის აჯანყება. ოსმალმ ალაგას გაუმარჯვნიათ ამ უკანასკნელ დროს თათრის ჯარებს და იმათი სარდალი ისეთ ნაირად გახარებულა, რომ იმწამსვე ოსმალოს მმართებლობისათვის მიუწერია სტამბოლს, რომ არეულობა თითქმის სულ მოესპეთო, მთელს ბერლინში ჩვენი ჯარი დაუბრკოლებლივ დაიარებაო და ერთ-ორ კვირაში აქ არეულობის ჩიჩინიც აღარ იქნებაო.

მაგრამ ნუ დაივიწყებთ რომ ამას ამბობს ოსმალოს მმართებლობის ოფიციალური წარმომადგენელი. უცხო ქვეყნის გაზეთები და მიუდგომელი პირები კი ცოტათი სხვა ნაირ ამბებს იწერებიან ბერლინის აჯანყების თაობაზე.

მართალია, ერთ-ორ შეტაკებაში ისინი დამარცხებულან; ოსმალებს აუღიათ უბრძოლველად ტრებინიეს სიმაგრე; მაგრამ ამას დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ. ოსმალებს დამხმარებელი ჯარი მოემატათ, მაგრამ აჯანყებულებიც გულ-ხელ-დაკრებილი არ არიან: ერთი-ორად უფრო მხნეთ არიან ახლა თურმე ისინი, ერთი-ორად უფრო მოშეტებული იმედი აქვთ, რომ ოსმალოსგან განთავისუფლდებიან.

დიდ-ძალი ხალხი მოდის ამ ჟამად ბერლინში აჯანყებულების დასახმარებულად, განსაკუთრებით სერბიიდამ და ჩერნოგორიიდამ. ამას გარდა ყველა სლავიანური პატარა ხალხები იმათ ეხმარებიან, რადგან იმედი აქვთ, რომ ბერლინასთან ერთ დროს იმათი ბედიც შეიცვლება. ერთს რუსულ გაზეთში გამოცხადებულია ჩერნოგორიის დამხმარებელი კომიტეტისაგან, რომ ჩეხიაში, მორავიაში, თვითონ ჩერნოგორიაში, ბოსნიაში და დალმაციაში ყველა გაზეთების რედაქციებმა ხელის-მოწერა გამართესო და მოგროვილ ფულს და ტანთ-საცმელს უგზავნიანო. ძალიან ბევრ ახალგაზდა სლავიანებმა, რომელნიც სხვა და სხვა ევროპის უნივერსიტეტში სწავლობდნენ, მიატოვეს დროებით სწავლა და ბერლინში მოვიდნენ აჯანყელებულების დასახმარებელადაო.

ბელგრადის კორრესპონდენტი ერთი ნემეცური გაზეთისა, სხვათა შორის, იწერება, რომ სერბიაში ამ ჟამად ხალხი ისეთ ნაირად აღელვებული არისო, ისეთის გაცხარებით თხოულობს ოსმალოსთან ომსაო, რომ თუ მთავარი (მილანი) არ დაემორჩილა ამ ხალხის ლტოლვილებას, უეჭველია, აქ რევოლიუცია მოხდება და ახლანდელ მთავარს ხერი არ დაეყრებაო. მეორეს მხრით, თუ სერბიის მთავარმა—მილანმა პირ-და-პირ გამოუცხადა ოსმალოს ომი და საალაშქროთ მზადება დაიწყო, როგორც ამბობენ, ავსტრია იმწამსვე თავის ჯარს სერბიაში ჩააყენებს და სხვა სახელმწიფოებიც ამის წინააღმდეგს არაფერს არ იტყვიანო. ამნაირად, მთავარი მილანი ორ ცეცხლს შუა არის: ერთის მხრით თავის ხალხი და მთელი სლავიანური მიწები თითქმის ძალას ატანენ, რომ ოსმალოს ომი გამოუცხადოს და აჯანყებულების წინ გაძღოლა იკისროს და მეორეს მხრით ევროპის დიდი სახელმწიფოების ეშინიან.

რასაკვირველია, აჯანყებულებს ამ თავის მოძმე ხალხების დახმარების იმედი აქვთ, თორემ ძალიან კარგათ იციან, რომ ისინი ერთი მუჭა ხალხია და მარტონი ოსმალოსთან ვერას გაარიგებენ.

მეორეს მხრით, არავის იმედი არა აქვს, რომ ევროპის აგენტებმა, რომელნიც აჯანყებულების დასამშვიდებელად არიან მოსტარში შეკრებილი, რამე გაარიგონ.

ამნაირს დახლართულს მდგომარეობაშია ახლა ბერლინის არეულობის საქმე.

საფრანგეთი. პარიჟელი კორრესპონდენტი ერთი ბელგიური გაზეთისა, რომელიც ბამდელი ტყობულობს ხოლმე პოლიტიკურ ამბებს, იწერება, დჰიუფორი და ბჰიუფფე დათანხმდნენო, რომ საზოგადო კენჭის ყრა მომავალი ქრისტეშობისთვის დამდეგში უნდა მოხდესო და ახალი პარლამენტი 1876 წლის იანვრის დამლებს უნდა შეიკრიბოსო.

— საფრანგეთის ეპისკოპოსების უკანასკნელს კრებაზე, სხვათა შორის, იმაზე ჰქონიათ მოლაპარაკება— თუ რა უნდა დავარქვათ იმ კათოლიკე უნივერსიტეტებს, რომელსაც სამღვდელოება გახსნისო. ჯერ თითქმის ყველა იმ აზრის ყოფილა, რომ ამ უნივერსიტეტებს „კათოლიკე უნივერსიტეტები“ უნდა დაერქვასო. მაგრამ ბოლოს ოლლანის არხიეპისკოპოსის წინადადებით გადაუწყვეტიათ, რომ ამ უნივერსიტეტებს „თავისუფალი უნივერსიტეტები“, დაარქვან. სახელათ უნდათ მოატყუონ ხალხი...

გერმანია. სამს ენკენისთვეს მთელს გერმანიაში, და განსაკუთრებით ბერლინში, დიდის ამბით უდღესასწაულებიათ სედანის დამარცხების დღე. ეს დღე გერმანიელებს თავის შეერთებისა და გაძლიერების დღეთ მიაჩნიათ და ამისგამო ყოველ წელიწადს დღესასწაულობენ.

წესდება

თფილისის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა

II. წილის ფული ამხანაგობის წევრებისა

12) ამხანაგობის ყოველ წევრს შეუძლიან იქონიოს მასში მხოლოდ ერთი წილი, რომელიც არის იმისი საკუთრება.

13) დაგირავება ანუ გადაცემა სხვაზედ მთელი წილის ფულისა, ანუ მის ნაწილისა არ მიიღება და ამხანაგობას ამის შესახებ არაფერში პასუხის მგებელათ არა ხდის

14) საწილო ფულის სრული ზომა, რომელიც ერთ გვარია ყველა წევრებისთვის,—დადგინებულია ოცდა-ათი მანეთი.

15) საწილო ფულის სრულ შედგენამდის წევრებს ვალი აქვთ შემოიტანონ ყოველ თვეს ოცი კაპეიკი (თითო აბაზი); ყველას მსურველს წევრთაგანს შეუძლიანთ წინათ რამდენიმე თვისა ერთათ შემოიტანოს, ან სრული საწილო ფული ერთიანათ.

16) ბადიდება წილის ფულის ზომისა (მუხ. 14) და ნაწილად შემოსატანი ფულის ნაწილისა (მუხ. 15) და ყოველთვის არა უმეტეს ერთი ორათ ზომისა, რაც ამ დროს ზომა არსებობს, შეიძლება, საზოგადო კრების გარდაწყვეტილობის ძალითა (მუხ. 107 პუნ. ლ.) მხოლოდ მაშინ, როდესაც წევრების სამისაგან ორს წილს სრული წილის ფული ექნებათ.

17) ბამოსულს ამხანაგობიდამ წევრს (მუხ. 8. პუნ. ბ, გ და დ) დაუ-

ბრუნდება მის კუთვნილი წილი ანუ ნაწილი შემოსატანის ფულისა, დამტკიცების შემდეგ საზოგადო კრებისაგან იმ წლის ანგარიშისა, რომელშიაც წევრი გამოვიდა ამხანაგობიდამ და არა ადრე თორმეტის თვისა, მოკიდებული იმ დღიდამ, როდესაც გამოვიდა (მუხ. 9) და ყოველს შემთხვევაში არა სხვაფრივ, თუ არ გადაიხადა ყველა თავისი შეკრულობა ამხანაგობის წინაშე.

18) ვინიცობაა ამხანაგობის წევრი მოკვდა, კუთვნილი მისი წილი ანუ ნაწილი შემოსატანის ფულისა დაუბრუნდებათ წესით ნაჩვენებით 17 მუხლში მის მემკვიდრეებს, ანუ მოიხმარება მის დანიშნულობისამებრ, როგორც მისგან ანდერძის წიგნში ჩაწერილი იქნება (მუხ. 5 პ. ზ. და 110 პ. ზ.).

19) როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ვალის გარდახდევინება წილის ფულს ანუ ამის ნაწილს მიადგება, რომელიც ამხანაგობის წევრს ეკუთვნის, იგი მიეცემა 17 მუხლის საფუძველით.

20) წევრი ამხანაგობაში შესვლის დროს მიიღებს გამგებლობისაგან თავის სახელზედ ანგარიშის წიგნს, რომელშიაც ჩაიწერება ყველა ამისი ფულის ანგარიშები, რაც მას ამხანაგობასთან ექნება, გარდა სასარგებლოთ შემოტანილის ფულის ანგარიშისა.

III. ამხანაგობის სამუშაველელი თავნი

21) ამხანაგობის სამუშაველელი თავნი შესდგება:

ა) წევრების შემოსატან-წილის ფულიდამ (მუხ. 15).

ბ) სათადარიგო თავნის ნაწილიდამ (მუხ. 68);

გ) სასარგებლოდ შემოტანილის ფულიდამ (მუხ. 27—36) და

დ) ამხანაგობის ვალად აღებულის ფულიდამ (მუხ. 37—39).

22) სამუშაველელი თავნისა თავისუფალი ნარჩომი ფული, ნაღდ ფულს გარდა, რომელიც საჭიროა სახათრიჯამოთ, დაუბრკოლებლად დაბრუნებისათვის სასარგებლოდ შემოტანილი და ნასესხის ფულის დასაბრუნებლათ, შეიძლება სახელმწიფო ხაზინის ბილეთებად (სერიებად) მიეცეს შესანახავად მმართველობის ანუ კერძო პირების დაწესებულს ფულის შესანახავ ადგილებში.

23) ამხანაგობას უფლება ეძლევა ქვემოხსენებული აღებ-მიცემობა აწარმოვოს:

ა) მიიღოს სასარგებლოთ შემოტანილი ფულები (მუხ. 27—36);

ბ) ვალად აიღოს ფულები (მუხ. 37 და 39); და

გ) ფული გაასესხოს მხოლოდ ამხანაგობის წევრებზე (მუხ. 40—5).

34) ჯამი შეკრულობის წერილებისა სასარგებლოდ შემოტანილ ფულის მიღებაზე (მუხ. 23 პპ. ა და ბ), ამხანაგობის პირველ გასამართავად აღებული ვალს გარდა არ უნდა აღემატებოდეს ათს ზომაზე მეტათ ერთიან ჯამსა შემოტანილ საწილო ფულისა და სათადარიგო თანხისას.

25) ამხანაგობის შეკრულობის წერილები (მუხ. 24) ხათრიჯამდენ:

ა) თვითოეულის წლის მოგებით,

ბ) სათადარიგო თანხით,

გ) წევრების წილის და ამის წილად შემოსატანის ფულით, და

დ) წევრების ქონებით.

26) ვინიცობაა ამხანაგობა შეუძლებელ იქმნა (მუხ. 24), მისი შეკრულობის წერილობის კმაყოფილება ამ რიგით და ჯერით უნდა გადახდეს:

ა) წლის მოგებიდამ;

ბ) სათადარიგო თანხიდამ;

გ) წევრების მთელის წილიდამ და ნაწილიდამ, ივის ბიჭედვით თუ ვის რამდენი შემოტანილი ექნება: და

დ) ამხანაგობის წევრების ქონებიდამ თანასწორად, ერთმანეთის თავდებობის საფუძველით (მუხ. 7. პ. ბ.). ამასთანავე, თუ რომელიმე მათგანნი შეუძლებელნი იქმნებიან, მათს წილადობაზედ ხვედრი გარდასახადი უნდა თანასწორად გაიწილონ დანაშთენ ამხანაგებმა—იქამდე, ვიდრე სრულიად არ დაკმაყოფილდებიან ამხანაგობისაგან ბიცემული შეკრულობის წერილები.

(ბაგრძელება)

ნარევი

რომში შემდგარა საიდუმლო კომიტეტი (საზოგადოება), რომელიც ბერკოგოვინის დასახმარებელად ყმაწვილ კაცებს აგროვებს და აგზავნის; ამას გარდა აქვე აგროვებენ თოფ იარაღს, ფულს, ტანსაცმელს და სხვა ყველას, რაც აჯანყებულებისათვინ გამოსადეგი არის.

* * *

ამ ორი წლის წინათ ვენაში გამართეს პურის ვაჭრობისათვის ცენტრალურ კანტორა, სადაც ყველა მხრიდამ ზიდავენ პურს და ასაღებენ თითქმის მთელი ევროპისათვის. ამ კანტორის ცნობებიდამ სჩანს, რომ წელს ავსტრიაში, ბერმანიაში, იტალიაში, ჩრდილოეთ რუსეთში, დანიაში და სვედიაში პურის მოსავალი გვარიანი არისო; ვენგრიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში და ინგლისში მოსავალი ძალიან ნაკლებათ არისო. ამერიკაში კი იმდენი პური მოსულა (300 მილიონი ჩეტვერტი), რომ წელს 65 მილიონ ჩეტვერტს გამოზიდავენ იქიდამ გასასყიდლათაო.

* * *

ყველაზე უკეთესი საშუალება ხორცის კარგათ შესანახავათ (რომ სუნი არ აუდინდეს), როგორც ამბობენ, ის არის, რომ შესანახავი ხორცი რომელსამე ჭურჭელში ჩასდო, ზედ ცხელი წყალი დასხა და ცხელ წყალ ზემოდამ ცოტა ზეთი, რომელიც ჰაერს არ მიაკარებს ხორცსაო. ეს საშუალება იაპონიაშია თურმე გამოცდილი.

* * *

ყურძნის ვაზის გასანოყიერებელად საუკეთესო საშუალება კირი არისო; თითო ვაზს რომ თითო მუჭა კირი მოაყარო ძირში, ძალიან კარგ ნაყოფს გამოიღებსო.

* * *

ყოველ ერთ ვაჭარს ათასი მანეთი შეუწირავს ქალაქისთვის იმ პირობით, რომ ამ ქალაქში მცირე წლოვანი დამნაშავეებისთვის თავშესაფარი სახლი და შკოლა გაიმართოსო.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ქუთაისის გუბერნიის სტამბაში და ავტორის სახლში **„მოკლე ახსნა ღვთის ტაძრისა“** თვისის საზოგადო კუთვნილობაებით და მნიშვნელობაებით, საზოგადო ღვთის მსახურებათა: მწუხრისა, სერობისა, შუა-ღამისა, ცისკრისა, ჟამნების: 1, 3, 6 და 9-სა და წირვისა-ლიტურლიისა, — შედგენილი ქართულს ენაზე ქუთ. საკათედრო სობორ. კანდელაკს, მღვდლის **რაჭდენ გიგაურლვის მიერ.** ფასი ყველგან ხუთი შაური (25 კაპ.) (3—3)

იპოვება და მოკლე დროში გამოვა გასასყიდათ ახალი **ანბანი** — პირველი საკითხავი წიგნი ყველანაირ ბისათვის, შედგენილი **ანთიმოზ ჯუღელისაგან.** (3—3)

ისყიდება ყოველ გვარი ქართული **წიგნები** თფილისში ეპიფანე კალანდაძის და ამხან. წიგნის მაღაზიაში, ქუჩის ხიდზე, მირზოევის სახლში, აბოევიანცის მაღაზიის პირდაპირ. (6—3)

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება მეორე გამოცემა **ქართულ-ფრანცუზულ ლექსიკონისა,** რომელიც შედგენილია ივ. როტინიანცისაგან. **ფასი** ერთი აბაზი.

ბეჭდვიდგან გამოვიდა და ისყიდება **ტ ფ ი ლ ი ს ში:** მელიქაშვილის და კომპ. სტამბაში I და II კარი **ყარამანიანისა,** ფასი 30 კაპ. თავის სურათებით. **აგრეთვე ენფიაჯიანცის** საწიგნო მაღაზიაში და **ივანოვის** ბიბლიოთეკაში და სხვა ადგილებში.

ქ უ თ ა ი ფასი 30 კაპ.

ში, ყველგანს ში: **სვიმონ** ჩომახიძესთან, ზუბერნსკი სტამბაში.

იბეჭდება და მომავალ თვეებში გამოვა III კარი **ყარამანიანისა.**

ისყიდება

თფილისში ექვთიმე ხელაძის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში:

საყმაწვილო კონა

პირველ-დაწყებითი მოთხრობებისა

ბუნების მეცნიერებიდამ

შედგენილი იაკობ ბოგებაშვილისაგან

გამოცემული სტ. ზარაფოვისაგან

ფასი ხუთი შაური

დაიბეჭდა და ისყიდება

თამარ საქართველოს

ბატონიშვილი

ისტორიული რომანი

ბ. რ ჩ ე უ ლ ო ვ ი ს ა.

თფილისში: მელიქაშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	68	-	38	
ბორი . .	12	21	8	41	2 40	1	23	
ხაშური . .	2	—	11	10	3 92	2	18	
ბეჟათუბანი	—	—			4 42	2	46	
ყვირილა .	—	—			5 81	3	23	
ქუთაისი. .	8	23			6 75	3	75	
სამტრედია .	—	—			7 73	4	29	
ახ.-სენაკი .	—	—			8 57	4	76	
ფოთი. . .	11	44			9 75	5	42	
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1 18	-	66	
სამტრედია.	—	—			2 6	1	14	
ქუთაისი .	11	51			3 4	1	69	
ყვირილა. .	—	—			3 98	2	21	
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5 33	2	96	
ხაშური . .	5	41	1	6	5 84	3	24	
ბორი . .	7	23	3	6	7 36	4	9	
მცხეთა . .	—	—			9 8	5	4	
თფილისი .	10	16	7	24	9 75	5	42	

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ. სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — სამშაბათს, ღამით.

ოდესას — კვირას, გათენებისას.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ბერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) ბ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ერთ წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 29 აგვისტ.

ერთი მანეთი ლირს:

	მან.	კაპ
ლონდონში $33\frac{1}{8}$ პენსი.	—	84
პარიჟში $339\frac{1}{2}$ სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	99	50
მოგებიანი (პირველისესხი)	223	--
მოგებიანი (მეორე სესხი)	222	—
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	93	--
ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$)	88	—
მოსკოვის (5%). . . .	86	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	213	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 2 სექტემ.		
პური შორაგალის ფთ.	1	15
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	4	50
— ამერიკისა, ფუთი. .	4	50
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყული თუშური ფთ .	7	80
— თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	45
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	54
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	40
— ფხვნილი ფუთი . .	6	80
ყავა გრგვალი ფუთი .	19	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	—
ოქრო $\frac{1}{2}$ იმპერიალი. .	5	96

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Сентября 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.